ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №6

დაბა ქედა, 04.11.2022 წელი

სხდომა დაიწყო 11:05 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა 11:30 სთ-ზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:

შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლაშა ბერიძე.
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

04.11.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ;

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფრაქციო წევრების ოთარ ხარაძისა და მზია ბოლქვაძის საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის 2022 წლის 3 ნოემბრის წერილობითი განცხადება საკრებულოს წევრების, ოთარ ხარაძისა და მზია ბოლქვაძის მიერ ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს დატოვების შესახებ (წერილის ნომერი:95-95223076, 03/11/2022).

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართულ ოცნება" წარმოდგენილია 13 წევრით, ხოლო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წარმოდგენილია 4 წევრით, საკრებულოს 4 წევრი კი არის უფრაქციო.

კომისიის თამჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნული საკრებულოს წევრები კომისიებში წარდგენილი იყვნენ ფრაქციის მიერ, მათ მიერ ფარქციის დატოვება იწვევს შესაბამისი კომისიის წევრობის დატოვებასაც.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 28-ე მუხლის შესაბამისად მისაღებია გადაწყვეტილება საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის განახლების შესახებ.

კომისიის წევრებს საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 1

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები განისაზღვროს არაუმეტეს 10 წევრით, მათ შორის ფრაქცია „ქართულ ოცნება"-ს 6 წევრი, ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა"-ს 2 წევრი, ხოლო საკრებულოს უფრაქციო წევრებს 2 წევრი (დანართი N1);

2. წინამდებარე გადაწყვეტილების პროექტი წარედგინოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია საკრებულოს უფრაქციო წევრების ოთარ ხარაძისა (განცხადება №95-95223079, 03.11.2022 წელი) და მზია ბოლქვაძის (განცხადება №95-95223078, 03.11.2022 წელი) განცხადებები საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 28-ე მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილია კომისიამ განიხილოს საკრებულოს უფრაქციო წევრების განცხადებები და მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს უფრაქციო წევრების შესაბამის კომისიის შემადგენლობაში გაწევრიანების შესახებ, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ მიღებულ კომისიის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, საკრებულოს უფრაქციო წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადებები შესაბამის კომისიებში გაწევრიანების შესახებ არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნული დასკვით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია საკრებულოს კომისიის შემადგენლობები ჩამოყალიბდეს განახლებული სახით.

კომისიის წევრებს საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კომისიის შემადგენლობების განსაზღვრის შესახებ კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ვ ი ტ ე ს :

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა

1) ლევან ვერძაძე;
2) არჩილ გორგილაძე;
3) მარინა ბარამიძე;
4) მერაბ ნაკაშიძე;
5) ჯემალ დავითაძე;
6) შორენა კარანაძე;
7) მინდია არძენაძე;
8) ოთარ ხარაძე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა

1) ლევან ბერიძე;
2) რომან დავითაძე;
3) ვაჟა აბულაძე;
4) არჩილ გორგილაძე;
5) ჯიმშერ სამნიძე;
6) მინდია არძენაძე;
7) ირაკლი მახარაძე;

8) გოჩა ჟღენტი;
9) მზია ბოლქვაძე.

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობა

1) მერაბ ნაკაშიძე;
2) ჯიმშერ სამნიძე;
3) მამუკა გოგოლიშვილი;
4) ამირან ცინცაძე;
5) ამირან წულუკიძე;
6) გოჩა გორგილაძე;
7) დავით სირაბიძე;
8) გოჩა ჟღენტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის შემადგენლობა

1) ამირან წულუკიძე;
2) რეზო თურმანიძე;
3) ამირან ცინცაძე;
4) რომან დავითაძე;
5) ლევან ბერიძე;
6) ოთარ ხარაძე;
7) ირაკლი მახარაძე.

საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა

1) ვაჟა აბულაძე;
2) მარინა ბარამიძე;
3) მამუკა გოგოლიშვილი;
4) გოჩა გორგილაძე;
5) რეზო თურმანიძე;
6) ლევან ვერძაძე;
7) დავით სირაბიძე;
8) შორენა კარანაძე.

2. წინამდებარე დასკვნა წარედგინოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს ცნობად მისაღებად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ციური ზაქარაძე
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში